შპს "მაგთიკომის" მიერ შპს „დელტა კომმის" წილის 100 პროცენტის შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას ერთობლივი განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №6/9927-16 20.09.2016) მიმართეს შპს „მაგთიკომმა" და შპს „დელტა კომმა", შპს "მაგთიკომის" მიერ შპს „დელტა კომმის" წილის 100%-ის შეძენაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის გაცემის მოთხოვნით.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2016 წლის 4 ოქტომბრის №665/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „დელტა კომმისა" და შპს „მაგთიკომის" ერთობლივ განცხადებასთან დაკავშირებით (კომისიაში რეგისტრაციის №6/9927-16 20.09.2016), ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის გამოკვლევის მიზნით. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად ზეპირი მოსმენის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 4 ნოემბერს 15:00 საათზე.
კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 4 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდნენ: ა.გომიაშვილი - შპს „მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში, გ. კოშორიძე - შპს „მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე, დ.ძიძიგური - შპს „მაგთიკომის" იურისტი, გიორგი ჯალიაშვილი - შპს „დელტა კომმის" აღმასრულებელი დირექტორი, ანდრო ცქიტიშვილი შპს „დელტა კომმის" ფინანსური დირექტორი, ანა პაპკიაური შპს „დელტა კომმის" იურისტი, გიორგი ხონელია შპს „დელტა კომმის" წარმომადგენელი.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომებზე კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ (დ.გოგიჩაიშვილი) წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

შპს „დელტა კომმი" (ს/კ 204991795) წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.4. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.6. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა

საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, **შპს „დელტა კომმის“** დირექტორი და წილის 40%-ის მფლობელია ფიზიკური პირი **პაატა ქიქოძე,** წილის 40%-ის მფლობელია ფიზიკური პირი **დავით ხუბულური** და წილის 20%-ის მფლობელია **კომანდიტური საზოგადოება SEAF Caucasus Growth Fund L.P.**

ფიზიკური პირი პაატა ქიქოძე წარმოადგენს:

1. ავტორიზებული პირი - შპს "ა-ნეტის“ (ს/კ 404893978) დირექტორს;
2. ავტორიზებული პირი - შპს „G-NET"-ის (ს/კ 404884675) დირექტორს და 70%-იანი წილის მფლობელს;
3. ავტორიზებული პირი - შპს „დელტა-ნეტის“ (ს/კ 404398503) დირექტორს;
4. ავტორიზებული პირი - შპს „თი-ნეტის“ (ს/კ 205213721) 45%-იანი წილის მფლობელს;
5. შპს „დელტა ინთერთეინმენტის“ (ს/კ 402008901) დირექტორს;

ფიზიკური პირი დავით ხუბულური წარმოადგენს ავტორიზებული პირი - შპს „თი-ნეტის“ (ს/კ 205213721) 45%-იანი წილის მფლობელს.

კომანდიტური საზოგადოება SEAF Caucasus Growth Fund L.P.-ის ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან: „კოდან თრასთ ქომპანი (კაიმანი) ლიმითედი“, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, მცირე საწარმოების დახმარების ფონდები, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი და Financierings-Maatschappij voor Ontwikkelinggsla nden N.V.

შპს „ა-ნეტი" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.4. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

კოაქსიალური (საკაბელო) მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

სპილენძის წყვილებით მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

კოაქსიალური (საკაბელო) მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.6. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა

საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ელექტრონული საკომუნიკაციო ანძების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

საბილინგო მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

სააბონენტო (მომხმარებელთა) მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

აბონენტების (ბოლო მომხმარებლების) ინდივიდუალური დაშვების სისტემის საშუალებების (ციფრული ტელევიზიის) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით, მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ელექტრონული პაკეტური საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით (SIP, H323), მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

მონაცემთა დამუშავების ინტერნეტ ცენტრის შესაბამისი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის სხვა შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.8. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის სხვა საქმიანობის სახეები

დაშვებით აღებული: საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით, ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით მსურველი პირების უზრუნველყოფა ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება

B.F.1. ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL)
ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება
კოაქსიალური ქსელით ინტერნეტ მომსახურება
WiFi
ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება

B.F.3. მონაცემთა გადაცემა

მონაცემთა გადაცემა

B.F.5. სხვა ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება

სხვა ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება

B.M.1. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

B.M.2. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა

ტექსტური შეტობინების მომსახურება
მულტიმედიური მომსახურება
ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა)
მოძრავი ინტერნეტ მომსახურება
მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება
სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება.
შპს „ა-ნეტი“ ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგ **ნებართვებს:** №N1 (გაცემის თარიღი 09.03.2012), №N162, №N163 (გაცემის თარიღი 23.09.2013), №N292 (გაცემის თარიღი 11.08.2016).
შპს „დელტა კომმი“ წარმოადგენს **შპს „ა-ნეტის“და შპს „დელტა ინთერთეინმენტის“ 100%-იანი** წილის მფლობელს.

შპს „დელტა ინთერთეინმენტი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

B.F.3. მონაცემთა გადაცემა

მონაცემთა გადაცემა

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

B.F.6. გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

შპს „G-NET"-ი წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL)
ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება
კოაქსიალური ქსელით ინტერნეტ მომსახურება
WiFi
ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება

შპს „G-NET"-ის დირექტორი და 70%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი პაატა ქიქოძე, ხოლო **წილის 30%-ის** მფლობელია ფიზიკური პირი **ილია ბელკინი.**

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით ფიზიკური პირი ილია ბელკინის აფილირებულობა სხვა ავტორიზებულ პიერებთან არ დგინდება.

შპს „დელტა-ნეტი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.4. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

B.F.6. გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

მ **შპს „დელტა-ნეტის“ 100%-იანი** წილის მფლობელია **შპს „დელტა კომმი“**.

შპს „თი-ნეტი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.4. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

შპს „თი-ნეტის“ დირექტორი და 45%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი პაატა ქიქოძე, წილის 45%-ის მფლობელია ფიზიკური პირი დავით ხუბულური, წილის 5%-ის მფლობელია **ალეკო ჯახუა** და წილის 5%-ის მფლობელია **გიორგი ჯალიაშვილი.**

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით ფიზიკური პირების ალეკო ჯახუას და გიორგი ჯალიაშვილის აფილირებულობა სხვა ავტორიზებულ პიერებთან არ დგინდება.

რადგანაც ფიზიკური პირი პაატა ქიქოძე არის შპს „ა-ნეტის“ დირექტორი, შპს „დელტა-კომმის“ დირექტორი და წილის 40%-ის მფლობელი, შპს „თი-ნეტის“ წილის 45%-ის მფლობელი, შპს „G-NET”-ის დირექტორი და წილის 70%-ის მფლობელი, შპს „დელტა-ნეტის“ და შპს „დელტა ინთერთეინმენტის“ დირექტორი, ხოლო შპს „დელტა კომმი“ არის შპს „დელტა ინთერთეინმენტის, შპს „ა-ნეტის“ და შპს „დელტა-ნეტის“ 100%-იანი წილის მფლობელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება შპს „დელტა კომმის“ აფილირებულობა შპს „ა-ნეტთან“, შპს „თი-ნეტთან“, შპს „დელტა ინთერთეინმენტთან“, შპს „G-NET”-თან და შპს „დელტა-ნეტთან“.

შპს „დელტა კომმის“ მონაწილეობით დაფუძნებულია სს „მერქანი“ (ს/კ 201952173);

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს „დელტა კომის“ წერილებით (კომისიაში წერილის რეგისტრაციის №შ-6/10532-16 04.10.2016 და შ-№შ 6/9927-16 20.09.16), კომისიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ინფორმაცია შპს „დელტა კომმის“ საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „დელტა კომმის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მიღებული შემოსავლების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „დელტა კომმის“ აბონენტთა რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია შპს „დელტა კომმის“ წილის ან აქციების მფლობელთა შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის ბოლო სამი წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის ბოლო სამი წლის მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშგების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „დელტა კომმისა“ და შპს „მაგთიკომს“ შორის გაფორმებული წინასწარ შეთანხმებული პირობების შესახებ;
- კომპანიის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვა ავტორიზებული პირებისათვის გაწეული რეგულირებადი საბითუმო მომსახურების დეტალური დახასიათება;
- კომპანიის მფლობელობაში არსებული ქსელების დეტალური აღწერა;
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის სატელეკომუნიკაციო მომსახურების ძირითადი მომწოდებლების სიის შესახებ, რომლის ბრუნვა წლის განმავლობაში აღემატება 1 000 000 ლარს;
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესახებ;
- ინფორმაცია მიმდინარე დავების შესახებ;
- ინფორმაცია საბანკო სესხების შესახებ;
- წილის შეძენასთან დაკავშირებით შპს „დელტა კომმის“ აქციონერთა ან/და პარტნიორთა კრების ოქმი;
- მონაცემები ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო და ტერმინალური საშუალებების შესახებ;
- მონაცემები ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური კაბელების შესახებ GIS ფორმატში.

შპს „მაგთიკომი" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.5. მაგისტრალური საკომუტაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.6. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა

საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.M.1. ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

GSM
WCDMA
CDMA
LTE

A.S.1. თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

თანამგზავრული სააბონენტო დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.1. ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
ტექსტური შეტყობინების მომსახურება

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL)
ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება
WiFi
CDMA
3G
ბოლო მომხმარებლების ინტერნეტ ჰოსტინგის მომსახურება

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი
რადიომაუწყებლობის ტრანზიტი

B.F.6. გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

B.M.1. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

როუმინგული კავშირით მომსახურება

B.M.2. მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა

ტექსტური შეტობინების მომსახურება
მულტიმედიური მომსახურება
ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა)
მოძრავი ინტერნეტ მომსახურება
მოძრავი ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება
სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება.

B.S.1. მოძრავი თანამგზავრული სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება)

მოძრავი თანამგზავრული სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება)

B.S.2. ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

B.S.3. თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება
თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება
B.S.4. თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება
თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურება
B.S.5. სხვა თანამგზავრული საკომუნიკაციო მომსახურება
სხვა თანამგზავრული საკომუნიკაციო მომსახურება
შპს „მაგთიკომს" ავტორიზაცია გავლილი აქვს მაუწყებლობით მომსახურების შემდეგ სახეებზე:

BR-32. მაუწყებლობის სახე: ტელემაუწყებლობა

მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა
მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) ტელემაუწყებლობა.
BR-33. მაუწყებლობის სახე: კერძო მაუწყებლობა
მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა
მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) ტელემაუწყებლობა.
BR-34. მაუწყებლობის სახე: კერძო მაუწყებლობა
მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა
მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) ტელემაუწყებლობა.

შპს „მაგთიკომი" ფლობს ლიცენზიებს შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F10 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირული დიაპაზონი საქართველოს მთელ ტერიტორაზე;
ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2019 წლის 17 ივნისამდე;
გ) უზრუნველყოს შპს "მაგთიკომმა" 453 მჰც ÷ 457,5 მჰც და 463 მჰც ÷ 467,5 მჰც სიხშირული დიაპაზონის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად და ავტორიზებული საქმიანობისთვის;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1920-1935 მჰც 2110-2125 მჰც (სულ 30 (2 x 15) მჰც);
ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;
გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2030 წლის 1 თებერვლამდე;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F15 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა.ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 901.8-915 მჰც და 946.8-960 მჰც (სულ 26.4 (2x13.2) მჰც);
ა.ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;
ა.გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2030 წლის 1 თებერვლამდე;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F16 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა.ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 1740.1- 1770 მჰც და 1835.1-1865 მჰც (სულ 59.8 (2 x 29.9) მჰც);
ა.ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;
ა.გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2030 წლის 1 თებერვლამდე;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F35 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: რადიოსიხშირეები 7226.0 მჰც, 7387.0 მჰც და 7247.0 მჰც, 7408.0 მჰც, თითოეული ზოლის სიგანით ±14 მჰც, რადიოსარელეო კავშირებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე;
ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2019 წლის 17 ივნისამდე;
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F99 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:
ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 801-806 მჰც და 842 -847 მჰც (სულ 10 (2x 5) მჰც);
ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;
გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2031 წლის 2 ივნისის ჩათვლით;

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 14 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 8-9-0 (რვა-ცხრა-ნული) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 7-9-0 (შვიდი-ცხრა-ნული) უსადენო შეღწევის სისტემის ქსელებით, მათ შორის, ფიჭური პრინციპით მომუშავე ქსელებში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელებში აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის;

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 17.06.2019 წ.-მდე

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 15 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:
ა) ნუმერაციის რესურსი: სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი 26XXXX ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 226XXXX ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. თბილისი;
ნუმერაციის რესურსი: სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი 10XXX ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 210XXX ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად; გეოგრაფიული ზონა: ქ. ქუთაისი;
გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 17.06.2019 წ.-მდე

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 171 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 5-9-9 (ხუთი-ცხრა-ცხრა) არაგეოგრაფიული ნუმერაციის ზონის კოდიდან დანართი N1-ით განსაზღვრული 100 000 (ასი ათასი) სააბონენტო ნომერი ფიჭური ორგანიზების მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირით მომსახურების უზრუნველყოფისთვის და მოძრავი აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის;

ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 09.12.2021 წ.-მდე

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას, (უფლება შენარჩუნებულია N 60 ლიცენზიის ფარგლებში) რომელიც ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

ა) ნუმერაციის რესურსი: 8-9-8 (რვა-ცხრა-რვა) ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, ხოლო კომისიის მიერ განსაზღვრული თარიღიდან - 5-9-8 (ხუთი-ცხრა-რვა) ფიჭური სისტემის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის ქსელებით მომსახურების ორგანიზებისათვის და მოძრავი აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის;

ბ) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა 12.05.2019 წ-მდე;
შპს „მაგთიკომი“ ასევე ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგ **ნებართვებს:**
№N9 (გაცემის თარიღი 06.04.2012), №N10 (გაცემის თარიღი 06.04.2012), №N11 (გაცემის თარიღი 06.04.2012), №N34 (გაცემის თარიღი 29.06.2012), №N35 (გაცემის თარიღი 06.07.2012), №N73 (გაცემის თარიღი 14.09.2012), №N75 (გაცემის თარიღი 28.09.2012), №N76 (გაცემის თარიღი 28.09.2012), №N77 (გაცემის თარიღი 28.09.2012), №N78 (გაცემის თარიღი 28.09.2012), №N99 (გაცემის თარიღი 28.12.2012), №N101 (გაცემის თარიღი 11.01.2013), №N103 (გაცემის თარიღი 18.01.2013), №N104 (გაცემის თარიღი 18.01.2013), №N96 (გაცემის თარიღი 25.01.2013), №N128 (გაცემის თარიღი 12.04.2013), № N172 (გაცემის თარიღი 15.11.2013), №N176 (გაცემის თარიღი 06.12.2013), №N177 (გაცემის თარიღი 27.12.2013), №N182 (გაცემის თარიღი 20.02.2013), №N184 (გაცემის თარიღი 06.03.2014), №N187 (გაცემის თარიღი 11.04.2014), №N199 (გაცემის თარიღი 27.08.2014), №N201 (გაცემის თარიღი 09.10.2014); №N216 (გაცემის თარიღი 26.02.2015); №N222 (გაცემის თარიღი 02.04.2015); №N226(გაცემის თარიღი 30.04.2015); №N230(გაცემის თარიღი 16.06.2015); №N235, №N236, №N237 (გაცემის თარიღი 23.07.2015); №N246, №N247, №N248 (გაცემის თარიღი 20.08.2015; №N252 (გაცემის თარიღი

12.11.2015); №N255 (გაცემის თარიღი 26.11.2015), №N270 (გაცემის თარიღი 24.03.2016), №N278 (გაცემის თარიღი 11.05.2016), №N290 (გაცემის თარიღი 23.06.2016), №N293, №N 294, №N 303, №N 304, №N 305, №N 306, №N 307, №N 308, №N309, №N310, №N311, №N312, №N313, №N314, №N315, №N316 (გაცემის თარიღი 01.08.2016), №N318 (გაცემის თარიღი 18.08.2016).
შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა ნათია კახიძე, გენერალური დირექტორის მოადგილეები არიან ანდრია ზოდელავა, გია კოშორიძე, გენერალური დირექტორის მოადგილეა ფინანსურ დარგში არჩილ გომიაშვილი და მთავარი ბუღალტრის მოადგილეა გიორგი აფაქიძე. შპს „მაგთიკომის“ 51%-ის წილის მფლობელია შპს „ინტერნეიშენელ ტელსელ სელულარი“ და 49%-ის წილის მფლობელია შპს „ტელსელ უაირლეს კომპანი“.

კომპანიების შპს „ინტერნეიშენელ ტელსელ სელულარის“ და შპს „ტელსელ უაირლეს კომპანიის“ აფილირება სხვა კომპანიებთან არ დგინდება.

შპს „ტელსელ უაირლეს კომპანიის“ ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ინგა გუდავაძე, ლიანა ჟმოტოვა, ზურაბ გოჯიაშვილი, ალექს ანჩაბაძე, ნოდარ აღდგომელაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ზურაბ გოჩიტაშვილი, თინათინ ლომაძეს, ეკატერინე არდგომელაშვილი, ლეილა გაჩეჩილაძე, ნინო ვასილევა, მაია ჭავჭანიძე, გიორგი ჯოხთაბერიძე, ნეთელა პატარკაციშვილი, ლია პატარკაციშვილი, ჯამალ ხანი, ალან მაკინტოში, ედვარდ სპენსერ ჩერჩილი, დევიდ როსსი, ჰიუ ოსმონდი, მარკ ჯონასი და კომაპანია „Capital Management & Investment PLC“.

შპს „ტელსელ უაირლეს კომპანიის“ ზემოაღნიშნული ბენეფიციარებიდან: ზურაბ გოჯიაშვილი, ალექს ანჩაბაძე, ნოდარ აღდგომელაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ზურაბ გოჩიტაშვილი, თინათინ ლომაძეს, ეკატერინე არდგომელაშვილი, ლეილა გაჩეჩილაძე, ნინო ვასილევა, მაია ჭავჭანიძე, გიორგი ჯოხთაბერიძე, ნეთელა პატარკაციშვილი, ლია პატარკაციშვილი, ჯამალ ხანი, ალან მაკინტოში, ედვარდ სპენსერ ჩერჩილი, დევიდ როსსი, ჰიუ ოსმონდი, მარკ ჯონასი და კომაპანია „Capital Management & Investment PLC“ კომისიის უწყებრივ რეესტრში საერთოდ არ ფიქსირდებიან, ხოლო ინა გუდავაძე არის შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპში“ 100%-ის წილის მფლობელი და ლიანა ჟმოტოვა არის შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ დირექტორი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება აფილირება შპს „მაგთიკომსა" და შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს“ შორის. შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ თავის მხრივ წარმოადგენს შპს „ტელეიმედის“ და შპს „რადიო იმედის“ 100 % წილის მფლობელს. შპს „ტელეიმედი“ საქართველოში ეწევა ტელემაუწყებლობას, ხოლო შპს „რადიო იმედი“ რადიომაწუყებლობას. შესაბამისად არც შპს „ტელეიმედი“ და არც შპს „რადიო იმედი“ ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სეგმენტებზე არ საქმიანობენ.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს „მაგთიკომის“ წერილებით (№16/10/04-3 04.10.2016, №16/10/17-5 17.10.2016 და შ-6/9927-16 20.09.16), კომისიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“ საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მიღებული შემოსავლების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“ აბონენტთა რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია შპს „მაგთიკომის“ წილის ან აქციების მფლობელთა შესახებ;
- ინფორმაცია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ბიზნეს სტატეგიული გეგმების შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის ბოლო სამი წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის ბოლო სამი წლის მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშგების შესახებ;
- ინფორმაცია შპს „დელტა კომმსა“ და შპს „მაგთიკომს“ შორის გაფორმებული წინასწარ შეთანხმებული პირობების შესახებ;
- შპს „მაგთიკომის“ აქციონერთა ან/და პარტნიორთა კრების ოქმი.
- კომპანიის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვა ავტორიზებული პირებისათვის გაწეული რეგულირებადი საბითუმო მომსახურების დეტალური დახასიათება;
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის სატელეკომუნიკაციო მომსახურების ძირითადი მომწოდებლების სიის შესახებ, რომლის ბრუნვა წლის განმავლობაში აღემატება 1 000 000 ლარს;

- ინფორმაცია იმ სამომავლო გეგმის ჩამონათვალის შესახებ, რომელიც უკავშირდება შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტა კომის“ წილის შეძენას;

- ინფორმაცია გარემოებების შესახებ, რამაც უკვე გამოიწვია ან შესაძლოა გახდეს გაკოტრების მიზეზი;

- ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე;

- ინფორმაცია მიმდინარე დავების შესახებ;

- ინფორმაცია საბანკო სესხების შესახებ;

- ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებულ საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე;

- ინფორმაცია ჯარიმების შესახებ, რომლებიც კომპანიას დააკისრა საგადასახადო ორგანომ;

- მონაცემები ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო და ტერმინალური საშუალებების შესახებ;

საცალო და საბითუმო მომსახურებების ბაზრის სეგმენტების დადგენა და მათი კონკურენტული ანალიზი

შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტა კომმის“ წილის შესაძლო შეძენის კონკურენციაზე გავლენის შეფასებისას შედარებული იქნა მხარეებს შორის ტრანზაქციის განხორციელებამდე და ტრანზაქციის შესაძლო განხორციელების შემდეგ კონკურენციაზე გავლენის მნიშვნელოვანი გარემოებები.

იმ თვალსაზრისით, რომ შპს „მაგთიკომი“, შპს „დელტა კომმი“ და შპს „დელტა კომმთან“ აფილირებული პირები (შემდგომში „მხარეები“) საქმიანობენ ელექტროსაკომუნიკაციო ბაზრის, როგორც საცალო, ასევე საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე, ამიტომ ადგილი აქვს ერთდროულად, როგორც ჰორიზონტალურ ასევე ვერტიკალურ ტრანზაქციას.

ჰორიზონტალური ტრანზაქციის შეფასებისას პირველ ეტაპზე დადგენილი იქნა საცალო მომსახურების ბაზრის სეგმენტები და ამ სეგმენტების გეოგრაფიული საზღვრები, ხოლო მეორე ეტაპზე დადგენილი საცალო მომსახურების ბაზრის სეგმენტებისათვის გაკეთდა კონკურენტული ანალიზი.

<u>მომსახურების ბაზრის დადგენა</u>

1.ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურება, 2. საცალო სატელეფონო მომსახურების (VoIP) და 3. ინტერნეტ ტელევიზია (IPTV) წარმოადგენს საცალო ბაზრის მომსახურების იმ საერთო სახეებს, რომლებსაც შპს „მაგთიკომი“ და შპს „დელტა კომი“ და მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები „დელტა ნეტი“ და შპს „ა ნეტი“ (შემდგომში „მხარეები“) აწვდიან საცალო ბაზრის აბონენტებს.

<u>გეოგრაფიული ზონების განსაზღვრა</u>

1.ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურება, 2. საცალო სატელეფონო მომსახურების და 3. ინტერნეტ ტელევიზია საცალო ბაზრის სეგმენტების გეოგრაფიულ საზღვრები განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრების მიხედვით.

ჰორიზონტალური ტრანზაქციის კონკურენტული ანალიზი

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის შეფასებისთვის 2015 და 2016 წლის 9 თვის მონაცემების საფუძველზე შესწავლილი იქნა ინფორმაცია ჰორიზონტალურ ტრანზაქციაში მონაწილე მხარეების და მათი კონკურენტების საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ. საცალო ბაზრის სეგმენტების ანალიზისას გათვალისწინებული იქნა მომსახურების მიწოდების მხოლოდ ის გეოგრაფიული საზღვრები, სადაც ტრანზაქციაში მონაწილე ორივე მხარე შპს „მაგთიკომი“ და შპს „დელტა კომმი“ და მასთან აფილირებული პირები ერთდროულად საქმიანობენ. შესაბამისად თუ მხარეებიდან არც ერთი არ არის წარმოდგენილი კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში, მაშინ ასეთი მონაცემები ცხრილში არ არის მოცემული.

ცხრილი N 1

ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურება ბაზრის შესაბამისი სეგმენტის საბაზრო წილების შესახებ ინფორმაცია იმ გეოგრაფიული ზონების მიხედვით სადაც საქმიანობს შპს „მაგთიკომი“, შპს „კავკასუს ონლაინი“ და შპს „დელტა კომმი“ და მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები

	შემოსავლების ხვედრითი წილი %	**აბონენტების ხვედრითი წილი %**
თბილისი	**100%**	**100%**

დელტა კომმი	1%	0%
დელტა-ნეტი	4%	1%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	44%	46%
სხვა დანარჩენი	51%	53%
ადიგენის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	28%	28%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	2%	0%
სხვა დანარჩენი	70%	72%
ახალციხის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	34%	34%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	2%	0%
სხვა დანარჩენი	64%	66%
ახმეტის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	62%	66%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	1%	0%
სხვა დანარჩენი	37%	34%
ბოლნისის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	12%	19%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	2%	0%
სხვა დანარჩენი	86%	80%
ბორჯომის რაიონი	**100%**	**%**
დელტა-ნეტი	1%	3%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	7%	3%
სხვა დანარჩენი	92%	93%
გარდაბნის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	63%	63%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	1%	0%
სხვა დანარჩენი	36%	37%
გორის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	2%	2%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	4%	0%
სხვა დანარჩენი	94%	98%
გურჯაანის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	60%	62%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	0.3%	0.0%
სხვა დანარჩენი	40%	38%
დუშეთის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	5%	8%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	6%	2%
სხვა დანარჩენი	88%	91%

თეთრი წყაროს რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	48%	49%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	5%	1%
სხვა დანარჩენი	47%	50%
თელავის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	32%	30%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	1%	0%
სხვა დანარჩენი	67%	70%
თიანეთის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	0%	2%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	3%	1%
სხვა დანარჩენი	97%	98%
კასპის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	32%	29%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	1%	0%
სხვა დანარჩენი	68%	70%
ლაგოდეხის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	82%	79%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	1%	0%
სხვა დანარჩენი	18%	21%
მარნეულის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	24%	25%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	10%	0%
სხვა დანარჩენ	66%	75%
მცხეთის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	90%	93%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	3%	1%
სხვა დანარჩენი	7%	5%
საგარეჯოს რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	79%	78%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	0%	0%
სხვა დანარჩენი	21%	22%
სენაკის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	14%	15%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	4%	0%
სხვა დანარჩენი	82%	85%
სიღნაღის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	57%	61%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	3%	0%
სხვა დანარჩენი	40%	39%
ქარელის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	13%	14%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	2%	0%
სხვა დანარჩენი	85%	86%

ყვარლის რაიონი	**100%**	**100%**
დელტა-ნეტი	70%	71%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	2%	0%
სხვა დანარჩენი	28%	28%
ბათუმი	**100%**	**100%**
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	6%	5%
ა-ნეტი	20%	19%
სხვა დანარჩენი	74%	76%
ქობულეთის რაიონი	**100%**	**100%**
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	1%	0%
ა-ნეტი	44%	32%
სხვა დანარჩენი	55%	68%
ხელვაჩაურის რაიონი	**100%**	**100%**
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	0.3%	0.1%
ა-ნეტი	83%	67%
სხვა დანარჩენი	16%	33%
შუახევის რაიონი	**100%**	**100%**
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	6%	6%
ა-ნეტი	0.0%	0.0%
სხვა დანარჩენი	94%	94%
ხულოს რაიონი	**100%**	**100%**
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	5%	1%
ა-ნეტი	1%	0%
სხვა დანარჩენი	94%	99%

შენიშვნა:

1. შპს „კავკასუს ონლაინსა" და შპს „მაგთიკომს" შორის მიმდინარე წლის 30 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „კავკასუს ონლაინის" საცალო აქტივები 2016 წლის პირველ აგვისტოს გადაეცა შპს „მაგთიკომს" და გადაცემის მომენტიდან აბონენტებს მომსახურებას უწევს შპს „მაგთიკომი". საბაზრო ხვედრითი წილების გაანგარიშებისას ისტორიული მონაცემების (2015 და 2016 წლის თვე) შენარჩუნებისთვის შპს „მაგთიკომის" და შპს „კავკასუს ონლაინის" ინფორმაცია აბონენტების და შემოსავლების შესახებ ცხრილი N1-ში წარმოდგენილია ერთად;
2. აბონენტების ხვედრით წილი 0 -1 პროცენტის ფარგლებში და ამავე დროს შემოსავლებში უფრო მაღალი ხვედრითი წილი გამოწვეულია კორპორატიული აბონენტების გამო.

ცხრილი N 1-ში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შპს „მაგთიკომი" და შპს „დელტა კომმი" არ არიან მჭიდრო კონკურენტები, რადგან კონკრეტული გეოგრაფიული ზონების მიხედვით ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ორივე კომპანია ერთდროულად არ არის წარმოდგენილი მაღალი საბაზრო წილით. ამასთან შპს „დელტა კომმი" და მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები საცალო მომსახურების ბაზარზე აბონენტებს ვერ სთავაზობენ მომსახურების ისეთ ფართო სპექტრს, როგორსაც შპს „მაგთიკომი" აწვდის საცალო მომსახურების ბაზარზე აბონენტებს (იგულისხმება მრავალმაგი შეთავაზებები). შესაბამისად თუ საცალო მომსახურებებს განვიხილავთ პაკეტების სახით, მაშინ მხარეების მიერ საცალო ბაზარზე აბონენტებისათვის მიწოდებული მომსახურებები არ არის ურთიერთაჩანაცვლებადი. შპს „მაგთიკომის" მიერ შპს „დელტა კომმის" 100 პროცენტიანი წილის შეძენის შემთხვევაში მხარეების მიერ ცალკეულ გეოგრაფიულ საზღვრებში ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ერთობლივი ხვედრითი წილი შესაძლოა გაიზრდოს 1 დან 10 პროცენტის ფარგლებში. მათ შორის: მარნეულში 10 პროცენტით, შუახევში 6 პროცენტით, ბათუმში და დუშეთში 5 პროცენტით, ხოლო დანარჩენ გეოგრაფიულ ზონებში 5 პროცენტით და უფრო ნაკლებით.

„ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილების და „ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზარზე დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტების და სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ" კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილების მიხედვით შპს „მაგთიკომი" ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ქ. თბილისის გეოგრაფიულ ზონაში დადგენილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაეკისრებული აქვს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

ა) ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ვალდებულება;

ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;

გ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება.

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა (დ. გოგიჩაიშვილმა) აღნიშნა, რომ შპს „მაგთიკომის" მიერ შპს „დელტა კომმის" 100 პროცენტიანი წილის შეძენის შემთხვევაში კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის N 610/9 და 2007 წლის 20 ივლისის N 400/9 გადაწყვეტილებებით შპს „მაგთიკომისთვის" დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები უნდა დაეკისროს ასევე შპს „დელტა კომმსაც".

კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე მხარეები ერთდროულად საქმიანობენ მხოლოდ ბათუმის გეოგრაფიულ ზონაში. ცხრილი N2-ში მოცემულია ინფორმაცია კომპანიების მიხედვით ბათუმის გეოგრაფიულ ზონაში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების საბაზრო წილების შესახებ.

ცხრილი N 2

	შემოსავლების ხვედრითი წილი %
ბათუმი	**100%**
ა-ნეტი	9.6%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	4.9%
სხვა დანარჩენი	85.5%

ცხრილი N 2-ში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე ორივე კომპანიის ერთობლივი საბაზრო წილი ბათუმის გეოგრაფიულ ზონაში 15 პროცენზე ნაკლებია. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისას 15 პროცენტი წარმოადგენს იმ მინიმალურ ზღვარს, რომლის ქვემოთაც ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრა არ ხდება.

ცხრილი N 3-ში წარმოდგენილია ინფორმაცია ინტერნეტ ტრანზიტის საცალო ბაზრის სეგმენტზე საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ იმ გეოგრაფიული ზონების მიხედვით, სადაც საქმიანობს შპს „მაგთიკომი" და შპს „დელტა კომმი" და მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები.

ცხრილი N 3

	შემოსავლების ხვედრითი წილი %
ბათუმი	**100%**
დელტა-ნეტი	0.1%
მაგთიკომი-კავკასუს ონლაინი	7.4%
სხვა დანარჩენი	92.5%

ცხრილი N 2-ში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე ორივე კომპანიის ერთობლივი საბაზრო წილი ბათუმის გეოგრაფიულ ზონაში 15 პროცენზე ნაკლებია. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისას 15 პროცენტი წარმოადგენს იმ მინიმალურ ზღვარს, რომლის ქვემოთაც ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრა არ ხდება.

ვერტიკალური ტრანზაქციის შეფასება

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენის მიერ საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კონკურენტული ანალიზისას შესწავლილ იქნა ის რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტა კომის“ 100 პროცენტიანი წილის შეძენის შედეგად. რისკების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა საბითუმო და საცალო ბაზარის სეგმენტებზე არსებული და ასევე შესაძლო ტრანზაქციით გამოწვეული კონკურენციის შეზღუდვები, მათ შორის შეფასდა ხომ არ გამოიწვევდა ვერტიკალურად ინტეგრირებული ახალი სტრუქტურა შპს „მაგთიკომის“ და შპს „დელტა კომის“ ფაქტობრივი და/ან პოტენციური კონკურენტი სხვა ავტორიზებული პირების საცალო ბაზარზე საქმიანობაში შეზღუდვას. კონკურენტისათვის საქმიანობის შეზღუდვა წარმოიშვება მაშინ, როდესაც მომსახურების ალტერნატიული მიმწოდებელისათვის საბითუმო მომსახურების მიღების და/ან საცალო მომახურების ბაზარზე ოპერირების შესაძლებლობები და სტიმული იზღუდება და/ან უქმდება.

იმ თვალსაზრისით, რომ შპს „დელტა კომმი“ კომისიის გადაწყვეტილებით არ არის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი და მასზე დაკისრებული არ არის სპეციფიკური ვალდებულებები, ამიტომ აღნიშნული შესაძლო ტრანზაქციისთვის შეფასდა, შეექმნებათ თუ არა მხარეებს შესაძლებლობა და მოტივაცია იმისათვის, რომ შექმნან საბითუმო მომსახურებაზე დაშვების შეზღუდვის სხვადასხვა ფორმები. კერძოდ შეფასდა: ა) შეეძლება თუ არა ასეთ ვერტიკალურად ინტეგრირებულ სტრუქტურას გაზარდოს საბითუმო მომსახურებაზე მანამდე დაწესებული ტარიფები და/ან გახადოს საბითუმო მომსახურების მიღების პირობები კონკურენტისათვის ნაკლებად სარგებლიანი, ვიდრე ეს ტრანზაქციის განხორციელებამდე იყო; და ბ) შეუძლია თუ არა ასეთ სტრუქტურას შეცვალოს ტექნოლოგია იმ მიმართულებით, რომ საცალო მომსახურებაზე მისმა კონკურენტმა ვეღარ შესძლოს აღნიშნული საბითუმო მომსახურების საცალო მომსახურებისთვის გამოყენება. ასევე გაანალიზდა ხომ არ ექნება ადგილი კონკურენტებისათვის მისაწოდებელი მომსახურების ხარისხის გაუარესებას.

საბითუმო ბაზარის სეგმენტებზე შპს „დელტა კომმი“ უზრუნველყოფს სხვა ავტორიზებულ პირებს 1. ინტერენტის გლობალურ რესურსებთან წვდომის და 2. ზონათშორის და ადგილობრივ ზონაში მაგისტრალური არხებთან და ტერმინალური ელემენენტებთან დაშვების მომსახურებებით.

1. ინტერენტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგემტი

„ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2015 წლის 29 იანვრის N 57/9 გადაწყვეტილების თანახმად ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დადგინდნენ: შპს ”კავკასუს ონლაინი” და სს ”სილქნეტი”. შპს „დელტა კომმი“ ზემოაღნიშნული კველვისა და ანალიზის დროს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლებას არ ფლობდა.

ავტორიზებული პირების მიერ კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საანალიზო/საანგარიშო პერიოდის (2016 წლის 8თვე) განმავლობაში კომპანიების მიერ შესყიდული გლობალური ინტერნეტის თვიური მოცულობა, სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის მოცულობა კომპანიების მიხედვით დინამიკაში წარმოდგენილია ცხრილში N4-ში.

ცხრილი N 4

	2016-Jan	2016-Feb	2016-Mar	2016-Apr	2016-May	2016-Jun	2016-Jul	2016-Aug
ინტერნეტის იმპორტი საქართველოში თვეების მიხედვით სიჩქარე (გბ/წმ)								
დელტა კომმი	14,000	14,000	14,000	14,000	14,000	14,000	14,000	14,000
კავკასუს ონლაინი და კავკასუს ბულგარია	88,000	88,000	88,000	88,000	98,000	98,000	98,000	98,000
ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი	22,000	22,000	22,000	27,000	27,000	35,000	35,000	35,000
სილქნეტი	59,000	54,000	54,000	54,000	54,000	54,000	54,000	54,000
ჯეოსელი	5,120	5,120	5,120	5,120	5,120	5,120	5,120	5,120
	188,120	**183,120**	**183,120**	**188,120**	**198,120**	**206,120**	**206,120**	**206,120**
საზღვარგარეთ გაყიდული გლობალური ინტერნეტი (გბ/წმ)								
კავკასუს ონლაინი და კავკასუს ბულგარია	3,500	3,500	3,500	3,500	3,500	3,500	20,480	20,480
საქართველოში ავტორიზებულ პირებზე გაყიდული გლობალური ინტერნეტი (გბ/წმ)								
კავკასუს ონლაინი და კავკასუს ბულგარია	5,783	6,395	5,566	5,583	5,894	5,894	7,681	77,510
სილქნეტი	4,775	6,663	5,835	5,527	5,249	5,069	3,515	3,516
დელტა კომმი	2,000	2,000	2,000	4,000	4,000	4,000	4,000	4,000
ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი	22,000	22,000	22,000	27,000	27,000	35,000	35,000	35,000
	34,558	**37,058**	**35,401**	**42,110**	**42,143**	**49,963**	**50,196**	**120,026**
საქართველოში ინტერნეტ საქმიანობისთვის გამოყენებული გლობალურ ინტერნეტი								
დელტა კომმი	14,000	14,000	14,000	14,000	14,000	14,000	14,000	14,000
კავკასუს ონლაინი და კავკასუს ბულგარია	84,500	84,500	84,500	84,500	94,500	94,500	77,520	77,520
ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი	22,000	22,000	22,000	27,000	27,000	35,000	35,000	35,000
სილქნეტი	59,000	54,000	54,000	54,000	54,000	54,000	54,000	54,000
ჯეოსელი	5,120	5,120	5,120	5,120	5,120	5,120	5,120	5,120
	184,620	**179,620**	**179,620**	**184,620**	**194,620**	**202,620**	**185,640**	**185,640**

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნებისათვის საბაზრო ხვედრითი წილის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად გამოყენებუოლი იქნა ავტორიზებული პირების მიერ საქართველოში ინტერნეტ საქმიანობისთვის გამოყენებული გლობალური ინტერნეტის მოხმარების წილობრივი მონაცემები, რომელიც შეადგენს:

სს "სილქნეტი"	**29,1%**
შპს „კავკასუს ონლაინი"	**41,8%**
შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"	**18,9%**
შპს „დელტა კომმი"	**7,5%**
შპს "ჯეოსელი"	**2,7%**

გლობალურ რესურსებთან წვდომის მომსახურების მიწოდების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კომისიის გადაწყვეტილების თანახმად არც შპს „მაგთიკომი" და არც შპს „დელტა კომი" და მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები („დელტა ნეტი" და შპს „ა ნეტი") მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას არ ფლობენ, თუმცა შპს „დელტა კომმი" ფლობს ისეთ საოპერაციო აქტივებს, რაც საშუალებას აძლევს მას დამატებითი მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების გარეშე გამოიყენოს ეს აქტივები ბაზრის შესაბამის სეგმენტზე საბაზრო უპირატესობის მოსაპოვებლად. შესაძლო ტრანზაქციის განხორცლების შემდეგ ბაზარზე ჩამოყალიბებულ ვერტიკალურად ინტეგრირებულ სტრუქტურას ექნება შესაძლებლობა ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის მომსახურება პირდაპირ შეისყიდოს სხვა ქვეყნის ოპერატორისაგან და უარი თქვას აღნიშნული მომსახურების შპს „კავკასუს ონლაინისგან" მიღებაზე. შპს „კავკასუს ონლაინის" მიერ შპს „მაგთიკომისათვის" მიყიდული გლობალური ინტერნეტის მოცულობა მის მიერ სხვა ავტორიზებულ და სხვა ქვეყნის კომპანიებისათვის მიწოდებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის მომსახურების 70 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად შპს „მაგთიკომს" შპს „კავკასუს ონლაინთან" აღნიშნული მომსახურების მიღებაზე გააჩნია მსყიდველობითი ძალაუფლება.

შპს „მაგთიკომის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ცნობილია რომ გლობალური ინტერნეტის შეძენაზე შპს „მაგთიკომსა“ და „Caucasus Cable System Bulgaria EOOD”-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2020 წლის 1 აგვისტომდე და შპს „მაგთიკომის“ მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევით, ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში პირგასამტეხლო შეადგენს მომსახურების ყოველთვიური საფასურის თორმეტმაგ ოდენობას. შესაბამისად შპს „მაგთიკომის“ მიერ აღნიშნული ხელშკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი ხარჯების გაღებასთანაა დაკავშირებული.

2. ზონათშორის და ადგილობრივ ზონაში მაგისტრალური არხებთან და ტერმინალური ელემენენტებთან წვდომის მომსახურებები

შპს „დელტა კომმი“ უზრუნველყოფს სხვა ავტორიზებულ პირებს ზონათშორის და ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილების მაგისტრალურ არხებთან და საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურებებით. შპს “მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტა კომმის“ წილის 100 პროცენტის შეძენაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიცემის მიზნით წარმოებული კვლევისა და ანალიზის ფარგლებში მაგისტრალურ არხებთან და ტერმინალურ ელემენენტებთან წვდომის საბითუმო მომსახურებისათვის განისაზღვრა საბითუმო ბაზრის ოთხი სეგმენტი:

2.1 ზონათშორის ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების სეგმენტი;

2.2 ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების სეგმენტი;

2.3 ადგილობრივ ზონაში მაგისტრალურ საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების სეგმენტი;

2.4 ზონათშორის მაგისტრალურ საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების სეგმენტი.

ზემოაღნიშნული ბაზრის სეგმენტების გეოგრაფიულ ზონები განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრების მიხედვით.

ზონათშორის და ადგილობრივ ზონებად საბითუმო მომსახურებების დადგენისას გამოყენებული იქნა შემდეგი დაშვება/მსჯელობა. კერძოდ თუ ავტორიზებულ პირს კონკრეტული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრებში გააჩნია მხოლოდ ერთი დაშვების წერტილი, მაშინ მას ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გააჩნია მხოლოდ ზონათშორის მაგისტრალურ არხებთან და შესაბამის ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო რესურები, ხოლო თუ ავტორიზებულ პირს კონკტერულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრებში გააჩნია ორი ან ორზე მეტი დაშვების წერტილი, მაშინ მას ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გააჩნია, როგორც ადგილობრივ, ასევე ზონათშორის მაგისტრალური არხებთან და შესაბამისი ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების მომსახურების მიწოდებისთვის საჭირო რესურები.

შენიშვნა: წინამდებარე კვლევისა და ანალიზის მიზნებისთვის დაშვების წერტილი კონკრეტულ მისამართს გულისხმობს. შესაბამისად ორი წერტილი ორი განსხვავებული მისამართია.

“მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N 498/9 გადაწყვეტილების თანახმად არც შპს „მაგთიკომი “ და არც შპს „დელტა კომმი“ და მასთან აფილირებული ავტორიზებული პირები დადგენილი არ არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად.

მოცემული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შპს „მაგთიკომის“ და შპს „დელტა კომის“ გარდა კომისიის მიერ სხვა ავტორიზებული პირებისაგანაც იქნა გამოითხოვილი ინფორმაცია ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო და ტერმინალური საშუალებების შესახებ, მათ შორის მონაცემები GIS ფორმატში ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური კაბელების შესახებ. ინფორმაცია მოპოვებული იქნა შემდეგი კომპანიებისაგან: შპს "კავკასუს ონლაინი", შპს "პისი მაქსი", შპს "სუპერ ტვ", სს "სილქნეტი", შპს "საქართველოს რკინიგზა", შპს "ფოპტნეტი", შპს "რკინიგზის ტელეკომი", შპს "ახტელი" და შპს "ახალი ქსელები".

ცხრილში N5-ში მოცემულია ადგილობრივ ზონაში მომსახურების მიწოდების მხოლოდ ის ტერიტორიული ერთეულები, სადაც ტრანზაქციაში მონაწილე რომელიმე მხარეს - შპს „მაგთიკომს“ ან შპს „დელტა კომმს“ და მასთან აფილირებულ პირებს გააჩნიათ მაგისტრალური არხები და შესაბამისი ტერმინალურ ელემენტები. თუ მხარეებიდან არც ერთი არ არის წარმოდგენილი კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონაში მაშინ ასეთი გეოგრაფიულ ზონები ცხრილში არ არის მოცემული.

ცხრილი N5

N	ავტორიზებული პირი	ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან დაშვების წერტილების რაოდენობა	ხვედრითი წილი	ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების წერტილების რაოდენობა	ხვედრითი წილი %
	თბილისი	**ცალი**	**%**	**ცალი**	**%**
1	შპს "ახალი ქსელები"	35	6%	10	3%
2	შპს "ახტელი"	27	4%	14	4%
3	შპს "სუპერ ტვ"	40	6%	0	0%
4	შპს "დელტა კომმი"	24	4%	20	6%
5	შპს "კავკასიის ციფრული ქსელი"	7	1.12%	12	3%
6	შპს "მაგთიკომი"	412	66%	239	69%
7	შპს "კავკასუს ონლაინი"	0	0%	6	2%
8	სს "სილქნეტი"	82	13%	43	13%
	სულ	**627**	**100%**	**344**	**100%**
	ბათუმი				
1	შპს "დელტა კომმი"	3	11%	3	18%
2	შპს "ა ნეტი"	15	54%	6	35%
3	სს "სილქნეტი"	10	36%	8	47%
	სულ	**28**	**100%**	**17**	**100%**
	მარნეული				
1	შპს "დელტა კომმი"	2	50%	2	50%
2	სს "სილნქტი"	2	50%	2	50%
	სულ	**4**	**100%**	**4**	**100%**
	ხაშური				
1	შპს "დელტა კომმი"	2	40%	2	33%
2	სს "სილქნეტი"	3	60%	4	67%
	სულ	**5**	**100%**	**6**	**100%**

ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან დაშვების წერტილების ხვედრითი წილი გეოგრაფიული ზონების მიხედვით შემდეგია:

თბილისი - შპს "დელტა კომმი" და შპს "მაგთიკომი" 70 პროცენტი
ბათუმი - შპს "დელტა კომმი" და შპს "ა ნეტი" 64 პროცენტი
მარნეული - შპს "დელტა კომმი" 50 პროცენტი
ხაშური - შპს "დელტა კომმი" 40 პროცენტი

ადგილობრივ ზონაში ტერმინალური ელემენტებთან დაშვების წერტილების ხვედრითი წილი გეოგრაფიული ზონების მიხედვით შემდეგია:

თბილისი - შპს "დელტა კომმი" და შპს "მაგთიკომი" 75 პროცენტი

ბათუმი - შპს "დელტა კომმი" და შპს "ა ნეტი" 53 პროცენტი
მარნეული - შპს "დელტა კომმი" 50 პროცენტი
ხაშური - შპს "დელტა კომმი" 33 პროცენტი

ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაცის მიხედვით ირკვევა, რომ ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან და ტერმინალური ელემენტებთან დაშვების საბითუმო მომსახურების სეგმენტებზე არ არსებობს მომსახურების მიწოდების ისეთი ტერიტორიული ერთეული, სადაც მხოლოდ შპს "დელტა კომმი" ან/და შპს „მაგთიკომი" იყოს წარმოდგენილი. შესაბამისად საბითუმო მომსახურების მიმღებ ავტორიზებულ პირს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული მომსახურება მიიღოს სხვა ავტორიზებული პირისგანაც. მიუხედავად არჩევანის არსებობისა ბათუმის, მარნეულის და ხაშურის გეოგრაფიულ ზონებში შპს "დელტა კომმი" საქმიანობას ეწევა სხვა მხოლოდ ერთ ავტორიზებულ პირთან ერთად, შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებში შპს "დელტა კომმს", ზემოაღნიშნული რისკების გათვალისწინებით კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია დაეკისროს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები.
ცხრილში N 6-ში მოცემულია ზონათშორის ტერიტორიულ ერთეულებში მომსახურების მიწოდების მხოლოდ ის გეოგრაფიული საზღვრები, სადაც ტრანზაქციაში მონაწილე რომელიმე მხარეს შპს „მაგთიკომს" ან შპს „დელტა კომმს" და მასთან აფილირებულ ავტორიზებულ პირებს გააჩნიათ მაგისტრალური არხები და შესაბამისი ტერმინალური ელემენტები. თუ მხარეებიდან არც ერთი არ არის წარმოდგენილი კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონაში, მაშინ ასეთი გეოგრაფიულ ზონები ცხრილში არ არის მოცემული.

ცხრილი N5

N	ქალაქი/რაიონი	ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან დაშვების წერტილების რაოდენობა	ტერმინალური ელემენტებთან დაშვების წერტილების რაოდენობა
	აბაშის რაიონი	**4**	**3**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	სილქნეტი	1	1
2	**ახალციხის რაიონი**	**2**	**3**
	დელტა კომმი	1	1
	მაგთიკომი		1
	სილქნეტი	1	1
3	**ბათუმი**	**6**	**9**
	პისი მაქსი	1	1
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	სილქნეტი	1	1
	მაგთიკომი		1

	ფოპტნეტი	1	1
	ჯეოსელი		1
4	**გარდაბნის რაიონი**	**4**	**5**
	დელტა კომმი	1	1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	მაგთიკომი		1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	სილქნეტი	1	1
5	**გორის რაიონი**	**6**	**8**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	ჯეოსელი		1
	მაგთიკომი		1
	სილქნეტი	1	1
	ფოპტნეტი	1	1
6	**რაიონი**		**3**
	დელტა კომმი	1	1
	მაგთიკომი		1
	სილქნეტი	1	1
7	**დედოფლისწყაროს რაიონი**	**1**	**3**
	დელტა კომმი	1	1
	მაგთიკომი		1
	სილქნეტი		1
8	**ვანის რაიონი**	**2**	**1**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	ზესტაფონის რაიონი	**6**	**7**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	მაგთიკომი		1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	სილქნეტი	1	1
	ფოპტნეტი	1	1
	ზუგდიდის რაიონი	**4**	**5**

	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	მაგთიკომი		1
	კავკასუს ონლაინი		1
	სილქნეტი	1	1
	ფოპტნეტი	1	1
11	**თბილისი**	**7**	**8**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	მაგთიკომი	1	1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	სილქნეტი	1	1
	ფოპტნეტი	1	1
	ჯეოსელი		1
12	**თელავის რაიონი**	**2**	**2**
	დელტა კომმი	1	1
	სილქნეტი	1	1
13	**თიანეთის რაიონი**	**1**	**2**
	მაგთიკომი		1
	დელტა კომმი	1	1
14	**კასპის რაიონი**	**5**	**5**
	დელტა კომმი	1	1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	
	სილქნეტი	1	1
	მაგთიკომი		1
	ფოპტნეტი	1	
15	**ლაგოდეხის რაიონი**	**2**	**3**
	დელტა კომმი	1	1
	მაგთიკომი		1
	სილქნეტი	1	1
16	**მარნეულის რაიონი**	**4**	**5**
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	
	მაგთიკომი		1
	სილქნეტი	1	1
17	**მარტვილის რაიონი**	**2**	**2**
	დელტა კომმი	1	1
	ფოპტნეტი	1	1

18	**მცხეთის რაიონი**	**4**	**2**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	
	სილქნეტი	1	1
19	**რუსთავი**	**3**	**5**
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	რკინიგზის ტელეკომი		1
	მაგთიკომი		1
	საქართველოს რკინიგზა	1	
	სილქნეტი	1	1
20	**საგარეჯოს რაიონი**	**2**	**3**
	მაგთიკომი		1
	დელტა კომმი	1	1
	სილქნეტი	1	1
21	**სამტრედიის რაიონი**	**5**	**7**
	PC-Max		1
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	მაგთიკომი		1
	სილქნეტი	1	1
	ფოპტნეტი	1	
22	**სენაკის რაიონი**	**5**	**6**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	მაგთიკომი		1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	სილქნეტი	1	1
23	**სიღნაღის რაიონი**	**1**	**2**
	დელტა კომმი	1	1
	სილქნეტი		1
24	**ფოთი**	**6**	**7**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1

	მაგთიკომი		1
	ჯეოსელი		1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	სილქნეტი	1	1
	ფოპტნეტი	1	
25	**ქარელის რაიონი**	**3**	**2**
	დელტა კომმი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	
	სილქნეტი	1	1
26	**ქობულეთის რაიონი**	**4**	**4**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	მაგთიკომი		1
	რკინიგზის ტელეკომი		1
	საქართველოს რკინიგზა	1	
	სილქნეტი	1	1
27	**ქუთაისი**	**4**	**7**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი		1
	კავკასუს ონლაინი		1
	საქართველოს რკინიგზა	1	
	რკინიგზის ტელეკომი		1
	სილქნეტი	1	1
	მაგთიკომი		1
	ფოპტნეტი	1	1
	ჯეოსელი		1
28	**ყვარლის რაიონი**	**2**	**2**
	დელტა კომმი	1	1
	სილქნეტი	1	1
29	**ხარაგაულის რაიონი**	**3**	**2**
	დელტა კომმი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	
	სილქნეტი	1	1
30	**ხაშურის რაიონი**	**6**	**8**
	პისი მაქსი	1	
	დელტა კომმი	1	1
	კავკასუს ონლაინი		1
	რკინიგზის ტელეკომი	1	1
	საქართველოს რკინიგზა	1	1
	სილქნეტი	1	1
	მაგთიკომი		1
	ჯეოსელი		1
	ფოპტნეტი	1	1
31	**ხონის რაიონი**	**1**	**1**

	დელტა კომმი	1	1
32	**ხულოს რაიონი**	**1**	**2**
	ჯეოსელი		1
	დელტა კომმი	1	1

ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაცის მიხედვით ირკვევა, რომ ზონათშორის ტერიტროიულ ერთეულებში ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან და ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების საბითუმო მომსახურების სეგმენტებზე არსებობს საბითუმო მომსახურების მიწოდების ისეთი გეოგრაფიული ერთეულები (ცხრილი N 7) სადაც, მხოლოდ შპს "დელტა კომმია" წარმოდგენილი. შესაბამისად ამ რეგიონებში საბითუმო მომსახურების მიმღებ ავტორიზებულ პირს არ აქვს შესაძლებლობა აღნიშნული მომსახურება მიიღოს სხვა ავტორიზებული პირისგანაც.

ცხრილი N7

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელთან დაშვება	**ტერმინალური ელემენტებთან დაშვება**
მხოლოდ დელტა კომი	**მხოლოდ დელტა კომი**
დედოფლისწყაროს რაიონი	ვანის რაიონი
თიანეთის რაიონი	ხონის რაიონი
სიღნაღის რაიონი	
ხონის რაიონი	
ხულოს რაიონი	
დელტა კომი სხვა ერთ ავტორიზებულ პირთან ერთად	**დელტა კომი სხვა ერთ ავტორიზებულ პირთან ერთად**
ახალციხის რაიონი	თელავის რაიონი
გურჯაანის რაიონი	თიანეთის რაიონი
ვანის რაიონი	მარტვილის რაიონი
თელავის რაიონი	მცხეთის რაიონი
ლაგოდეხის რაიონი	სიღნაღის რაიონი
მარტვილის რაიონი	ქარელის რაიონი
საგარეჯოს რაიონი	ყვარლის რაიონი
ყვარლის რაიონი	ხარაგაულის რაიონი
	ხულოს რაიონი

შპს „დელტა კომმი" ინტერენტის გლობალურ რესურსებთან, მაგისტრალურ არხებთან და ტერმინალურ ელემენენტებთან დაშვების მომსახურებებს სხვა ავტორიზებულ პირებს აწვდის ერთიანი მომსახურების პაკეტის სახით. შესაბამისად თუ სხვა ავტორიზებულ პირს საკუთარი მაგისტრალური არხები და/ან ტერმინალური საშუალებები არ აქვს, მას საბითუმო მომსახურებების სხვადასხვა მომწოდებლებისაგან მიღების შესაძლებლობა არ გააჩნია (ააიპ „მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის" 2016 წლის 17 მარტი N 080216-08 წერილი).

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „დელტა კომმი" კომისიის გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტოიზებულ პირად: ა) ზონათშორის ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების; ბ) ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების; გ) ადგილობრივ ზონაში მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების; დ) ზონათშორის მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების და ე) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე და მასზე არ არის დაკისრებული კონკურენციის უზრუნველმყოფი სპეციფიკური ვალდებულებები. ამასთან ვერტიკალურად ინტეგრირებულ შპს

მაგთიკომისა“ და შპს „დელტა კომმის“ სტრუქტურას გააჩნია საბაზრო ძალაუფლების გამოყენების შესაბამისი შესაძლებლობები და მოტივაცია.
ზემოაღნიშნული რისკების გათვალისწინებით, ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურის მიერ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკის შესამცირებლად, შპს ”დელტა კომმს”, კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით უნდა დაეკისროს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები. ამასთან, ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურის მიერ დისკრიმინაციის აკრძალვის და კროს- სუბსიდირების ვალდებულების შესრულების მონიტორინგის თვალსაზრისით მიზანშეწონილია, რომ მომავალში არ მოხდეს შპს „მაგთიკომისა“ და შპს „დელტა კომმის“ შერწყმა ან/და საბითუმო მომსახურებისთვის საჭირო საოპერაციო აქტივების შპს „მაგთიკომისათვის“ გადაცემა.
„ელექტრონული კომინკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტის მიხდევით „კომისია უფლებამოსილია თანხმობის გაცემის შემთხვევაში მოსთხოვოს შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებულ ავტორიზებულ პირს ან საოპერაციო აქტივის შემძენ ავტორიზებულ პირს შემდგომ საქმიანობაში ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის შენარჩუნებას“.

შპს „მაგთიკომის“ განმარტებით კომპანიას ესაჭიროება სამი თვე იმისათვის, რომ უზრუნველყოს შპს „დელტა კომმის“ სხვა ავტორიზებულ პირებთან უკვე არსებული ხელშეკრულებების პირობების გადახედვა და შესაბამისად კომისიის წინამდებარე გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტა კომის“ წილის 100 პროცენტის შეძენის შემთხვევაში შპს „დელტა კომს“ ა) ზონათშორის ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალური არხებთან დაშვების მომსახურების; ბ) ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალური არხებთან დაშვების მომსახურების; გ) ადგილობრივ ზონაში მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების; დ) ზონათშორის მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების და ე) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ყველა იმ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც საქმიანობს შპს „დელტა კომმი“ უნდა დაეკისროს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:
ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
ბ) ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
გ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის N 610/9 გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომი“ ინტერნეტის ქსელით საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ცნობილია საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად. შესაბამისად შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტა კომის“ წილის 100 პროცენტის შეძენის შემთხვევაში კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის N 610/9 და 2007 წლის 20 ივლისის N 400/9 გადაწყვეტილებებით შპს „მაგთიკომისთვის“ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები ასევე უნდა დაეკისროს შპს „დელტა კომმსაც“.
კომისიამ მიიჩნია, რომ შპს „დელტა კომზე“ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დაკისრების გათვალისწინებით არ არსებობს შპს „დელტა კომმის“ წილის 100 პროცენტის შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :
1. მიეცეს თანხმობა შპს „მაგთიკომს“, შპს „დელტა კომიის“ წილის 100 პროცენტის შეძენაზე;
2. კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის N 610/9 და 2007 წლის 20 ივლისის N 400/9 გადაწყვეტილებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით შპს „მაგთიკომმა“ შპს „დელტა კომმის“ წილის 100 პროცენტის შეძენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში კომისიას აცნობოს მის მიერ შპს „დელტა კომმის“ წილის 100 პროცენტის შეძენის შესახებ;
3. შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტა კომის“ წილის 100 პროცენტის შეძენის შემთხვევაში, შპს „დელტა კომმს“ ა) ზონათშორის ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების; ბ) ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალური არხებთან დაშვების მომსახურების; გ)

ადგილობრივ ზონაში მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების; დ) ზონათშორის მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების მომსახურების და ე) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე დაეკისროს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით: უზრუნველყოს შპს "დელტა კომმა" ზემოაღნიშნული საბითუმო მომსახურებების მსურველი ავტორიზებული პირისათვის საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან და ტექნიკურ საშუალებებთან შეუზღუდავი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული დაშვება.

ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით: უზრუნველყოს შპს "დელტა კომმა" ზემოაღნიშნული საბითუმო მომსახურებების მსურველი ავტორიზებული პირისათვის მომსახურების მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული ან/და სხვა ავტორიზებული პირებისათვის.

გ) ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით: შპს "დელტა კომმა" შპს „მაგთიკომის" მიერ შპს „დელტა კომმის" წილის 100 პროცენტის შეძენიდან 1 თვის ვადაში საჯაროდ გამოაქვეყნოს ზემოაღნიშნული საბითუმო მომასახურებებისთვის შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა). მოწვევის ოფერტაში ასახული უნდა იქნეს მომსახურებების მიწოდების არსებითი პირობები.

4. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების შპს „მაგთიკომისთვის" და შპს „დელტა კომმისთვის" გაგზავნა;
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის მიერ ამ გადაწყვეტილების შპს „მაგთიკომსთვის" და შპს „დელტა კომიისთვის" ჩაბარებიდან;
6. გადაწყვეტილების მესამე პუნქტი ამოქმედდეს შპს „მაგთიკომის" მიერ შპს „დელტა კომმის" წილის 100 პროცენტის შეძენიდან სამი თვის ვადაში;
7. შპს „მაგთიკომის" მიერ შპს „დელტა კომმის" წილის 100 პროცენტის შეძენის თარიღიდან შპს „დელტა კომმის'" მიერ სხვა ავტორიზებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ გადაწყვეტილების მესამე პუნქტის ამოქმედების თარიღს;
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
9. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილს).

კომისიის თავმჯდომარე	ვ. აბაშიძე
კომისიის წევრი	ე. ასანიძე
კომისიის წევრი	კ. ბექაური
კომისიის წევრი	გ. ფრუიძე